

LINGUISTIC CLICHÉ IN CONTEMPORARY GEORGIAN MEDIA AND POLITICAL DISCOURSE

ენობრივი კლიშე თანამედროვე ქართულ მედია- და პოლიტიკურ დისკურსში

Ketevan Deisadze

PhD student of Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Tamar Mepe St. 59, 4600, Georgia,
+995599264622, keti.deisadze@gmail.com
[HTTPS://ORCID.ORG/0009-0008-0535-8817](https://orcid.org/0009-0008-0535-8817)

Abstract. Verbal communication, as the highest form of information exchange in public relations, represents the most significant function of language. Spoken language - the process of orally conveying thoughts through the core lexical resources of a language - is dynamic and lively. Its study and analysis make it possible to examine a wide range of syntactic constructions in contemporary Georgian spoken language, as well as the innovations and main developmental trends occurring within it.

The era of globalization is closely intertwined with speech. In the context of the digital age, the linguistic units involved in sentence formation are constantly evolving. Language is influenced by extra-linguistic factors relevant to society as well as by individual tendencies. In an era saturated with information, the role of media and politics in society remains undefined. Media and political discourse strongly influence one another. This discourse is spontaneous and dynamic. Consequently, in spoken language, constructions often break down, new constructions are formed, and elements of widely recognized clichés are employed.

A linguistic cliché is a fixed expression that exists in a language in ready-made form and is used to convey content that is repetitive, frequent, and familiar. A formal cliché conveys a common referent, without which communication would not be possible. A cliché is a standardized, stereotypical communicative unit. Speakers often resort to standard, formulaic expressions in order to convey thoughts quickly and concisely.

The goal of this research is to study and analyze the linguistic clichés prevalent in contemporary Georgian media and political discourse. The relevance of the topic is determined by the establishment of linguistic universals, which arise from the efficiency of language when structuring the official, concise version of thoughts in spoken discourse.

The analysis of syntactic constructions in spoken language can be regarded as innovative. Based on the findings of this study, it will be possible to classify the linguistic clichés identified in media and political discourse.

Keywords: Linguistic cliché, media, political discourse, syntactic constructions, spoken language, referent.

ქეთევან დეისაძე

ფილოლოგიის დოქტორანტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ქუთაისი, თამარ მეფის 59, 4600, საქართველო,

+995599264622, keti.deisadze@gmail.com

HTTPS://ORCID.ORG/0009-0008-0535-8817

აბსტრაქტი. საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინფორმაციის გაცვლის უმაღლეს დონეზე ვერბალური კომუნიკაცია ენის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ზეპირი მეტყველება, როგორც ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის გამოყენებით აზრის ზეპირად გადმოცემის პროცესი, ცოცხალი და დინამიურია. მისი შესწავლა და ანალიზი იძლევა საშუალებას, თანამედროვე ქართული ზეპირი მეტყველების ენაში ფართო სპექტრში განვიხილოთ როგორც საკომუნიკაციო დონეზე შექმნილი სინტაქსური კონსტრუქციები – შესიტყვებები და წინადადებები, ისე მასში მიმდინარე ცვლილებები, ინოვაციები და განვითარების ძირითადი ტენდენციები.

გლობალიზაციის ეპოქა სინქრონიზებულია მეტყველებასთან. ციფრული საუკუნის აზროვნებაში წინადადების ჩამოყალიბებაში მონაწილე ენობრივი ერთეულები მუდმივად ცვალებადია. ენა განიცდის სოციუმისთვის აქტუალური ექსტრალინგვისტური ფაქტორებისა თუ ცალკეული ინდივიდების ტენდენციურ ზეგავლენას. ინფორმაციით გაჯერებულ ეპოქაში საზოგადოებაზე მედიისა და პოლიტიკის როლი განუსაზღვრელია. მედია- და პოლიტიკური დისკურსი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენს. დისკურსი სპონტანური და დინამიურია. ამიტომაც ზეპირ მეტყველებაში ხშირია კონსტრუქციების რღვევა, ახალი კონსტრუქციების შექმნა და საყოველთაოდ ცნობილი კლიშეს ელემენტების მოხმარება.

ენობრივი კლიშე მყარი გამონათქვამია, რომელიც ენაში მზა სახით არსებობს და ისეთი შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენება, რომელიც განმეორებადია, ხშირია და მასისთვის ნაცნობი. ფორმალური კლიშეწინადადებით გადმოიცემა საერთო რეფერენტი, რომლის გარეშეც კომუნიკაცია ვერ შედგება. კლიშე მშრალი, სტერეოტიპული საკომუნიკაციო ერთეულია. სტანდარტულ, ტრაფარეტულ გამოთქმებს მოსაუბრეები აზრის სხარტად და ლაკონურად გადმოსაცემად მიმართავენ.

ჩვენი კვლევის მიზანია თანამედროვე ქართულ მედია- და პოლიტიკურ დისკურსში გავრცელებული ენობრივი კლიშეების შესწავლა და ანალიზი.

თემის აქტუალობას განაპირობებს ზეპირი მეტყველების ენაში აზრის ოფიციალური, მშრალი ვერსიის სტრუქტურული ფორმირებისას ენის ეკონომიურობით გამოწვეული ენობრივი უნივერსალიების დამკვიდრება.

სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ ზეპირი მეტყველების სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზი.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდება მედია- და პოლიტიკურ დისკურსში გამოვლენილი ენობრივი კლიშეების კვალიფიცირება.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი კლიშე, მედია, პოლიტიკური დისკურსი, სინტაქსური კონსტრუქციები, ზეპირი მეტყველება, რეფერენტი

შესავალი. საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინფორმაციის გაცვლის უმაღლეს დონეზე ვერბალური კომუნიკაცია ენის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ზეპირი მეტყველების, როგორც ენის ცოცხალი და დინამური პროცესის, შესწავლა და ანალიზი იძლევა საშუალებას, თანამედროვე ქართული ზეპირი მეტყველების ენაში ფართო სპექტრში განვიხილოთ მიმდინარე ცვლილებები, ინოვაციები და განვითარების ძირითადი ტენდენციები

ზეპირი მეტყველება ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის გამოყენებით აზრის ზეპირად გადმოცემის პროცესია. საკომუნიკაციო დონეზე შექმნილი სინტაქსური კონსტრუქციები შესიტყვებებისა და წინადადებების სახით მკვიდრდება ყოველდღიურობაში და საბოლოოდ გავლენას ახდენს სალიტერატურო ენის ფორმირებაზე. როგორც არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, „ენა ვითარდება, შესაბამისად აზრის ერთი და იგივე შინაარსი მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში შესაძლებელია სხვაგვარად გამოითქვას“ (ჩიქობავა, 2008: 8).

გლობალიზაციის ეპოქა სინქრონიზებულია მეტყველებასთან. ციფრული საუკუნის აზროვნებაში წინადადების ჩამოყალიბებაში მონაწილე ენობრივი ერთეულები მუდმივად ცვალებადია. ენა განიცდის სოციუმისთვის აქტუალური ექსტრალინგვისტური ფაქტორებისა და ცალკეული ინდივიდების ტენდენციურ ზეგავლენას.

მეთოდები. ჩვენი სამეცნიერო კვლევის საგანი და ინტერესი ზეპირი მეტყველებაა, შესაბამისად, ნაშრომში აღწერისა და შედარების მეთოდთან ერთად გამოყენებულია კვლევის დისკურსული ანალიზის მეთოდი.

შედეგები. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდება მასობრივი საშუალებებისა და პოლიტიკის ენაში გამოვლენილი ტრაფარეტული გამოთქმებისა და ენობრივი კლიშეების კვალიფიცირება და მათი სინტაქსის კონტექსტში გაანალიზება.

მსჯელობა. ენობრივი მოვლენების შესწავლა ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვებით გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო საინტერესო გახდა ლინგვისტებისათვის. გამოვლინდა, რომ ზეპირი მეტყველება ცალკე სისტემაა და არა სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი (კვანტალიანი, 1990: 4). ვერბალური კომუნიკაცია ბუნებრივი, სპონტანური და ექსპრესიულია. ამიტომ ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში, განსაკუთრებით კი მედია- და პოლიტიკურ დისკურსში, უამრავი სიახლე, ანომალია თუ ტრადიციად ქცეული მოვლენა იჩენს თავს.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლადაა დისკურსის, როგორც ცნების, ისე მისი არსის, სოციოლინგვისტური, პარალინგვისტური, პრაგმატიკული თუ ფუნქციური ანალიზი. სამეცნიერო ლიტერატურაში დისკურსის ცნება სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული, რაც ძირითადად განპირობებულია საკვლევი თემატიკის პრიზმიდან. მეცნიერთა ნაწილი თანხმდება, რომ დისკურსი ზეპირი მეტყველების აქტია. დისკურსი არის აზროვნება მეტყველებაში და, შესაბამისად, აზროვნება ენის მეშვეობით, ანუ აზროვნება ენაში ან ენა აზროვნებაში. ვერბალური კომუნიკაციის პროცესში შექმნილი და გადმოცემული დასრულებული აზრი, გრამატიკული კვალიფიკაციით, არის წინადადება, რომელიც, თავის მხრივ, სინტაქსის შესწავლის ობიექტია. რადგან დისკურსი შინაარსში იტევს ყველა ტიპის ზეპირ მეტყველებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვებით ვიკვლევთ დისკურსის სინტაქსურ ასპექტს.

ლ. კვანტალიანი მიუთითებს, რომ სინტაქსის კონტექსტში დისკურსის კვლევა, კომუნიკაციის სინტაქსური კონსტრუქციების ფორმირებისა და მოდიფიცირების პროცესების კვლევა, დღემდე ფრაგმენტულია და საჭიროებს სრულ და მრავალმხრივ შესწავლას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ზეპირი მეტყველების ენაში

განვითარებული და მიმდინარე მოვლენების ზუსტი კვალიფიცირება (კვანტალიანი, 1990: 5).

ინფორმაციით გაჯერებულ ეპოქაში საზოგადოებაზე მედიისა და პოლიტიკის როლი განუსაზღვრელია. როგორც დანარჩენ მსოფლიოში, საქართველოშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი ინტერესს მეტწილად პოლიტიკური ინფორმაციით დაინტერესება იწვევს. პოლიტიკა მედიაკულტურის ნაწილია. მასმედია ქმნის და ავრცელებს ინფორმაციას, თუმცა სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებსაც აძლევს საშუალებას, საჯაროდ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები. პირდაპირი ჩართვები, პრესკონფერენციები, ბრიფინგები, ინტერვიუები და პოლიტიკური დებატები არის მედიასივრცის მნიშვნელოვანი მდგენელი. შესაბამისად, მედია- და პოლიტიკური დისკურსი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენს. ზეპირი მეტყველების სინტაქსის კვლევის პროცესში მთავარი სირთულე დისკურსის სპონტანურობაა. დისკურსი ცოცხალი პროცესია და, შესაბამისად, მასში ხშირად ხდება კონსტრუქციების რღვევა, ახალი კონსტრუქციების შექმნა და მრავლადაა საყოველთაოდ ცნობილი კლიშეს ელემენტები.

თანამედროვე სამყაროში ინფორმაცია სხვადასხვა საინფორმაციო არხებით ვრცელდება. ბოლო ხანს ტრადიციულ მედიას დაემატა უამრავი ახალი ონლაინპლატფორმა. ინფორმაცია ვრცელდება ქაოსურად და მეტწილად სტიქიური ხასიათისაა. ხშირია, როცა ინფორმაციის გამავრცელებელთა საკომუნიკაციო, მით უფრო ენობრივი, კომპეტენცია დაბალია. არის შემთხვევები, როცა ნათლად ჩანს, რომ ინფორმაცია ვრცელდება ეპირიულ ცოდნაზე დაყრდნობით და კომუნიკაცია დაცლილია აკადემიური ცოდნისგან, რაც, ცხადია, აისახება ცოცხალ სამეტყველო ფორმებზე, რომლებიც თანდათან მკვიდრდება სალიტერატურო ენაშიც. ენის ფლობის საკომპეტენციო კრიტერიუმებისა და შეფასებების ნაწილი საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა ამჟერად ჩვენი ინტერესის სფეროა საჯარო კომუნიკაცია, როგორც აზრის ზეპირად გამოხატვის უნივერსალური აქტი, და მისი სინტაქსური წყობა.

კომუნიკაცია ენის, როგორც სისტემის, ფუნქციური მხარეა. (თანდაშვილი, „ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი“, Iტ., 2020: 11). საკომუნიკაციო ტექსტის მთავარი სტრუქტურული ელემენტი წინადადებაა. წინადადება კი, თავის მხრივ, ცალკე ტექსტობრივ მთლიანობებს, სიტყვათშეთანხმებებსა და ფრაზებს ქმნის (არაბული, 2008: 253). ჩვენი ინტერესის საგანია თანამედროვე მედია- და პოლიტიკურ დისკურსში გავრცელებული ისეთი მყარი სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც კლიშედ დამკვიდრების ტენდენციას ავლენენ.

თანამედროვე ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის კონტექსტში შესწავლისას უამრავი თავისებურება ვლინდება. სამეტყველო აქტების კვლევისას რამდენიმე ლინგვისტური უნივერსალიაც იკვეთება და მათ შორისაა ენობრივ საშუალებათა ეკონომიურობა (ზექალაშვილი, 2012: 10), რომელიც ითვლება ენაში კლიშეების სიმრავლისა და დამკვიდრების მიზეზად.

კლიშე (ფრანგ. cliché) ფრანგული სიტყვაა და სპეციალურ ფირფიტაზე გამოყვანილ რელიეფურ გამოსახულებას ნიშნავს, რომელსაც, სტამბური ბეჭდვისას, სერიული ანაბეჭდების მისაღებად იყენებდნენ. გადატანითი მნიშვნელობით კი, კლიშე არის მოარული, გაცვეთილი სიტყვა ან გამოთქმა.

ენობრივი კლიშე მყარი გამონათქვამია, რომელიც ენაში მზა სახით არსებობს და ისეთი შინაარსების გადმოსაცემად გამოიყენება, რომლებიც განმეორებადია, ხშირია და მასისთვის ნაცნობი. შესაბამისად, კლიშე მშრალი, სტერეოტიპული საკომუნიკაციო ერთეულია, რომელიც ერთგვარად ხელს უწყობს სათქმელის ლაკონურად გადმოცემას.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, არ არსებობს ენა, რომელსაც წინადადების აგებისათვის მხოლოდ ერთადერთი მოდელი აქვს. ყველა ენაში არსებობს

წინადადების საკუთარი, ავთენტური, აუცილებელი ტიპები. გარდა ამისა, ერთ ენაზე მოსაუბრეებს აქვთ საერთო რეფერენცია, რომელიც გარკვეულ სიტუაციას მიემართება. რეფერენტის გარეშე კომუნიკაცია ვერ შედგება (ენუქიძე, 1987: 57). მოსაუბრემ ბევრი რამ იცის იმის შესახებ, რას ნიშნავს მის ენაში ესა თუ ის გამოთქმა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ამ საერთო რეფერენტის შინაარსობრივი მხარე გადმოიცემა ფორმალური კლიშე-წინადადებით. კლიშედ შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი მოარული ენობრივი ფორმულა, რომელიც სპეციალური ტექსტის აგებაში საკვანძო კონსტრუქციულ ფუნქციას ასრულებს (არაბული, 2008: 250). ენობრივი კლიშე სპეციალური სტანდარტიზებული ენების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ ისინი სავალდებულო ფორმულების სახით რეგულარულად გამოიყენება. ენობრივი კლიშეები მუდმივად წარმოიქმნება ენაში, მითუფრო აქტიური საინფორმაციო ურთიერთობებისას, რომელთაც გლობალური სტანდარტიზაციის ნიშანი სდევს (არაბული, 2008: 249). ენობრივი კლიშეს გამომხატველ ტერმინებად სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება შტამპი, კანცელარიზმი ან შაბლონი, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისგან განარჩევენ ენობრივ შტამპსა და ენობრივ კლიშეს.

თანამედროვე ქართული მედიადისკურსი სავსეა ენობრივი შტამპებითა და ენობრივი კლიშეებით. შაბლონები გვხვდება როგორც ჟურნალისტთა და პოლიტიკოსთა მეტყველებაში, ისე საზოგადოების სხვა წევრთა ზეპირ, საჯარო გამოსვლებში. შეიძლება ჩამოვთვალოთ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ენობრივი შტამპები, რომლებიც გამუდმებით გვესმის სხვადასხვა მედიასაშუალებიდან: წინასწარი ინფორმაციით, განცხადება გააკეთა, რამდენიმე წუთის წინ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არსებული ვითარების შესახებ, თვითმხილველთა განცხადებით, შეთანხმებას მიაღწიეს, მიმდინარე პროცესები, განცხადების თანახმად, დაკისრებული მოვალეობა, განცხადებაში ნათქვამია, ხაზგასმით ითქვა, მკაფიოდ ითქვა, ხაზგასმით აღინიშნა, სათანადო ყურადღება, შემოფოთებას გამოთქვამს და სხვა მრავალი შტამპი თუ კლიშე, რომლებიც მეორდება პოლიტიკურ დისკურსშიც.

კანცელარიზმები ანუ ენობრივი შტამპები დამახასიათებელია სახელმწიფოთაშორისი, იურიდიული, დიპლომატიური და მსგავსი ოფიციალური ტექსტების გადმოცემისას (სანიკიძე, 2009: 79). მაგალითად: განცხადების თანახმად, ევროკავშირის წარმომადგენლობას ეცნობა, ნოტაში ნათქვამია, მხარეებმა ყოველგვარ ძალისხმევას მიმართეს...

ენობრივი ტრაფარეტი სტანდარტული, ხშირადგამოყენებული ლექსიკური ერთეულია, რომელიც მოდებულია სრულიად ენობრივ ქსოვილს და ლაკონური სინტაქსური წყობის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სიტყვები: ცნობა და ინფორმაცია (სანიკიძე, 2009: 80):

გავრცელდა ცნობა, მივიღეთ ცნობა, ცნობის თანახმად, ცნობასთან დაკავშირებით;

გავრცელებული ინფორმაციით, ინფორმაციაში ნათქვამია, მივიღეთ ინფორმაცია, ინფორმაცია გაიგზავნა...

შაბლონებს ქმნის სიტყვები: სათანადო, გარკვეული, პროცესი, კრიზისი. მაგალითად:

სათანადო: სათანადო ყურადღება, სათანადო ნაბიჯები, სათანადოდ მოვლილი, სათანადოდ მოეწყობა...

გარკვეული: გარკვეული ქმედება, გარკვეული შედეგი, გარკვეული ზომები, გარკვეული სამუშაოები...

პროცესი: საარჩევნო პროცესი, სასწავლო პროცესი, სამუშაო პროცესი, შემოქმედებითი პროცესი, სასამართლო პროცესი...

კრიზისი: პოლიტიკური კრიზისი, სისტემური კრიზისი, ფინანსური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი...

განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტიკურ დისკურსში ისეთი მყარი, იდიომატური შესიტყვებების სიხშირე, რომლებიც ძირითადად ყოველდღიურ საუბრებში დომინირებდა და ოფიციალურ და საქმიან სტილში ნაკლებად გამოიყენებოდა. თანამედროვე დისკურსში კი პოლიტიკოსთა ნაწილი მასისთვის ცნობილ მყარ გამოთქმებს მოვლენებისა თუ ფაქტების ასახსნელად და შესაფასებლად ხშირად მიმართავს. პოლიტიკური დისკურსი საზოგადოების კოლექტიურ ცნობიერსა და სამეტყველო ლექსიკაზე თანაბრად ზემოქმედებს. მასების პოლიტიზირება თანამედროვე სამყაროს გამოწვევაა, თავისი თანხმლები მოვლენებით, რომელთა შორისაა ენობრივი კლიშეს სხვადასხვა ვარიანტი. გვხვდება უარყოფითი თუ ირონიული კონოტაციის მქონე სიტყვათმეთანხმებები, ბარბარიზმებიანი იდიომატური გამოთქმები. ყურადღებას გავამახვილებთ მაგალითებზე, რომლებიც მოპოვებულია სატელევიზიო თუ ონლაინსაინფორმაციო საშუალებებიდან (ტელეკომპანიები: „პირველი არხი“, „ფორმულა“, „მთავარი არხი“, „პირველი“, „იმედი“, „რუსთავი2“, „რიონი“, „მეგა ტვ“, „პოს ტვ“, „კავკასია“; აგრეთვე: „რადიო თავისუფლება“, „netgazeti.ge“, YouTube-პლატფორმა):

დაუსჯელობის სინდრომი:

„მოქმედებს დაუსჯელობის სინდრომი“ (გ. ხატიაშვილი, უფლებადამცველი, ტვ. „პირველი“, 01.06.2025); „დაუსჯელობის სინდრომი როდესაც ჩნდება ადამიანს შეუძლია სოციალურ ქსელში გააკეთოს ყალბი ანგარიშები და იქედან ნებისმიერ ვიდეოს მისწვდეს“ (მ. კაჭარავა, ფსიქოლოგი, ტვ. „პირველი არხი“, 19.03.2023); „დაუსჯელობის სინდრომი ქვეყანაში მეფობს. პოლიციელებს უფლება აქვთ ნებისმიერი ძალადობის ჩადენის“ (უ. ნანუაშვილი, უფლებადამცველი, netgazeti.ge, 13.05.2024); „დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა დარჩეს“ (ი. ღარიბაშვილი, პოლიტიკოსი, ტვ. „პირველი არხი“, 11.05.2024); „ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომია, სრულიად დაუცველი ხარ. წარმოიდგინეთ, გახვალ ქუჩაში და სად გადააწყდები ხელყუმბარიან ადამიანს, არ იცი“ (ხ. დეკანოიძე, პოლიტიკოსი, ტვ. „პირველი“, 20.11.2020); „მიმაჩნია, რომ ეს სასჯელი უნდა გადაიხადოს და სწორედ, დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა გაჩნდეს ამ შემთხვევაში (ს. ზურაბიშვილი, პრეზიდენტი, ტვ. „მთავარი არხი“, 01.07.2023); „ამ ქვეყანაში ვის სჯიან და ვის არა, არ ვიცი. უბრალოდ, დაუსჯელობის სინდრომია ქვეყანაში“ (ვ. წერეთელი, მედიამენეჯერი, ტვ. „პირველი“, 11.07.2021); „დაუსჯელობის სინდრომი აძლევს ხელისუფლებას უფლებას, ყველაფერი აკადრონ ხალხს“ (შ. ნათელაშვილი, პოლიტიკოსი, ტვ. „კავკასია“, 17.01.2022); „გუშინწინ გატეხეს აპარატი, დაუსჯელობის სინდრომია საქართველოში“ (მოქალაქე, ტვ. „მეგა ტვ“, 08.04.2025);

კონტექსტიდან ამოვარდნილი:

„ვაიმარის სამკუთხედის განცხადება აბსოლუტურად ამოვარდნილი იყო კონტექსტიდან“ (ი. კობახიძე, პოლიტიკოსი, ტვ. „პირველი არხი“, 28.05.2025); „ოპოზიციის მხრიდან დავინახეთ ყოვლად გაუგებარი, გაუაზრებელი, კონტექსტიდან ამოვარდნილი და სამართლებრივ ნორმებთან აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მყოფი კანონპროექტის დაინიცირების მცდელობა (ა. ლუდუშაური, პოლიტიკოსი, ტვ. „პირველი“, 21.05.2021); „მგონია ქალბატონი სალომე ზოგჯერ ძალიან ამოვარდნილია კონსტექტიდან. ჩემი აზრით, მას სიტყვა გაექცა, რადგან ქართულთან ცოტა პრობლემა აქვს“ (ი. ზარქუა, პოლიტიკოსი, ტვ. „მთავარი არხი“, 13.06.2022); „მერამდენედ უნდა მოვისმინოთ ბატონი კასიანოვისგან ასეთი არარელევანტური და კონტექსტიდან ამოვარდნილი მოსაზრებები“ (დ. მათიკაშვილი, პოლიტიკოსი, ტვ. „იმედი“, 09.01.2023); „რაც შეეხება პრეზიდენტის განცხადებას, მან უკვე ამის თაობაზე განმარტება გააკეთა, ეს იყო კონტექსტიდან ამოვარდნილი, როგორც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება ხოლმე“ (ნ. თურნავა, პოლიტიკოსი, ტვ. „იმედი“, 11.12.2019); „ყველა ჭორი, ასევე ზოგიერთი

მოსაზრება არის კონტექსტიდან ამოვარდნილი (ი. ფავლენიშვილი, პოლიტიკოსი, ტკ. „პირველი არხი“, 18.07.2023).

ამავე სიტყვაშეთანხმებაში ზოგჯერ მიმღეობურ ფორმას „ამოვარდნილი“ შეიძლება ჩაენაცვლოს უფრო მძაფრი სემანტიკური ნიუანსის გამოხატველი სიტყვა „ამოგლეჯილი“. მაგალითად:

კონტექსტიდან ამოგლეჯილი:

„ჩვენი გუნდის პოზიციაა, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილი, ნებისმიერი ქვეყნის რაღაც კანონის ასლის გაკეთება, არის ფორმალური მიზნებისთვის გაკეთებული რაიმე კანონი (ა. ბუჩუკური, პოლიტიკოსი, ტკ. „პირველი არხი“, 19.07.2022); „ფრაზა, რომელიც გავრცელდა კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი“ (პ. ზაქარეიშვილი, ანალიტიკოსი, ტკ. „პირველი არხი“, 30.11.2015); „გუშინდელი განცხადებები, მე მგონი, კონტექსტიდან ამოგლეჯილი იყო“ (ა. გამყრელიძე, საჯარო პირი, ტკ. „მთავარი არხი“, 15.02.2022); „ყურადღებით მოისმინეთ, პირდაპირ რომ ამბობს, ეს არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი“ (მეუფე ნიკოლოზი, ტკ. „ფორმულა“, 25.05.2020); „რუსეთი ყოველთვის ცდილობს სპეკულაციას სხვადასხვა, კონტექსტიდან ამოგლეჯილი წინადადებების წინ წამოწევით“ (ლ. დარსალია, მინისტრის მოადგილე, ტკ. „პირველი არხი“, 12.12.2020); „სამწუხაროდ, კანცლერის ეს ციტატა ელჩის მხრიდან გავრცელდა მანიპულაციურად, რადგან კონტექსტიდან ამოგლეჯილი იყო და არ იყო ნახსენები კონტექსტი“ (შ. პაპუაშვილი, პოლიტიკოსი, ტკ. „პირველი“, 04.06.2024); „მან მიიღო ჩემგან დასაბუთებული პასუხი, აბსოლუტურად კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზები ქონდა“ (ვ. სანაია, ჟურნალისტი, ტკ. „იმედი“, 02.10.2013).

ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულია სხვა შესიტყვებებით გადმოცემული ენობრივი კლიშეს მაგალითებიც:

ორმაგი სტანდარტი:

„არ შეიძლება ასეთი ორმაგი სტანდარტი“ (თ. ცერცვაძე, ექიმი, ტკ. „პირველი არხი“, 02.03.2021); „ორმაგ სტანდარტზე მიუთითებს ხელოვანთა ნაწილის ქცევა“ (ჟურნალისტი, ტკ. „იმედი“, 22.04.2024); „იქ, სადაც ადამიანები არიან, სამწუხაროდ, ორმაგი სტანდარტები არის, რაც ძალიან ცუდია“ (ა. ბუჩუკური, პარლამენტარი, ტკ. „იმედი“, 22.04.2024); „ეს არის ხოშტარიას ორმაგი სტანდარტის კლასიკა“ (მ. მდინარაძე, პარლამენტარი, ტკ. „იმედი“, 22.04.2024); „არა მხოლოდ ორმაგი სტანდარტია, როდესაც დღეს საუბრობს, ეს ხელოვანი იქნება თუ ნებისმიერი სხვა ადამიანი, წაუკითხავ კანონზე, რომ ვითომ ეს არის ხელისშემლა ევროინტეგრაციისკენ, ეს არის შეურაცხყოფა ქართველი ხალხის“ (გ. მაჭარაშვილი, პარლამენტარი, ტკ. „იმედი“, 22.04.2024); „გლობალურ პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტი კარგი არ არის“ (ა. ლუდუშაური, პარლამენტარი, ტკ. „პირველი არხი“, 19.06.2024);

სრულ უნისონში:

„როგორ იქნები სრულ უნისონში და კოორდინაციაში საერთაშორისო პარტნიორებთან“ (გ. უგულავა, პოლიტიკოსი, ტკ. „ფორმულა“, 26.05.2025); „რუსული და ქართული პროპაგანდა სრულ უნისონშია“ (ნ. წიკლაური, პოლიტიკოსი, ტკ. „კავკასია“, 30.04.2022); „ჩვენი დასკვნა და ქალბატონ ლომჯარიას საექსპერტო, ჩემი კოლეგების, დასკვნა, სრულ უნისონშია ერთმანეთთან“ (ზ. ფაღვა, ექიმი, ტკ. „პირველი“, 18.11.2021); „ჩვენ სრულ უნისონში ვართ საქართველოს კომერციულ ბანკებთან“ (ნ. თურნავა, ებს პრეზიდენტი, ტკ. „პირველი“, 20.09.2023); „სრულ უნისონშია მისი განცხადება ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან“ (თ. მურადაშვილი, ადვოკატი, ტკ. „რუსთავი2“, 16.02.2017); „ჩვენ არ გვიკვირს ქიბარ ხალვაშისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები, რომელიც უნისონშია ერთმანეთთან“ (დ. სამაგლიშვილი, ადვოკატი, ტკ. „მთავარი არხი“, 17.05.2022); „ჩვენი დეფეტიზმი უნისონშია მხოლოდ და მხოლოდ

რუსეთის წარატივთან, ეხმიანება მხოლოდ რუსეთის პროპაგანდას“ (ს. ზურაბიშვილი, პრეზიდენტი, ტვ. „პირველი არხი“, 09.02.2023).

ზოგჯერ ენობრივ კლიშეს ქმნის ერთი სიტყვაც. ასეთია, მაგალითად:

მომენტუმი (წამი, მომენტი, აწმყო):

„ეს არის ამ არჩევნების, ამ პოლიტიკური თუ მორალური მომენტის, **მომენტუმის** ამბავი“ (ლ. ნაცვლიშვილი, ანალიტიკოსი, ტვ. „პოს ტვ“, 18.07.2020); შედეგის მიუღწევლობა, არაეფექტურობა, კრიტიკული სიტუაციისა და ისტორიული **მომენტუმის** ვერ შეგრძნება თუ ხელიდან გაშვება“ (გ. თარგამაძე, ჟურნალისტი, ტვ. „ფორმულა“, 10.12.2023); „აცნობიერებენ, რომ 2024 წლის არჩევნები არის მთავარი **მომენტუმი**, რომ თავი დავაღწიოთ რუსეთის გავლენას“ (ნ. გვარამია, პოლიტიკოსი, ტვ. „მთავარი არხი“, 04.10.2023); „გვარამიას დაკავების **მომენტუმი** ბევრად უფრო მძიმე რამეზე მეტყველებს, ვიდრე გვარამიას პოლიტპატიმრობა“ (გ. გახარია, პოლიტიკოსი, ტვ. „პირველი არხი“, 27.05.2022); „რუსეთის ბოლო **მომენტუმი** ამ ქვეყანაში“ (ნ. გვარამია, პოლიტიკოსი, YouTube-არხი „ისაუბრე“, 23.05.2025);

მოდუსი (ლათ. Modus საზომი, ხერხი, წესი):

„ჩვენი **მოდუსი** მოქმედების ის კი არ უნდა იყოს, რომ სადღაც შევვარდეთ“ (გ. უგულავა, პოლიტიკოსი, ტვ. „პირველი“, 05.06.2025); „მე ჩემი **მოდუსი** მაქვს, ცხადია“ (ნ. გვარამია, პოლიტიკოსი, YouTube-არხი „ისაუბრე“, 23.05.2025);

მოდუს ოპერანდი (ლათ. Modus operandi მოქმედების ხერხი):

„დიალოგი ევროპელების **მოდუს ოპერანდია**, მათ არ აინტერესებთ ვინაა მართალი და ვინ მტყუანი“ (მეთიუ ბრაიზა, პოლიტიკოსი, „რადიო თავისუფლება“, 22.02.2022); „მისი **მოდუს ოპერანდი** არის სრულიად რუსული“ (ნ. გვარამია, პოლიტიკოსი, ტვ. „ფორმულა“, 31.07.2023); „ეს არის დემოკრატია, სადაც ყველას აქვს კონსტიტუციური უფლება, თავად განსაზღვროს თავისი **მოდუს ოპერანდი**.“ (თ. ბოკუჩავა, პოლიტიკოსი, ტვ. „პირველი“, 16.03.2025).

ზეპირი მეტყველების, როგორც კომპლექსური ფენომენის, მიმართ ინტერესი ყოველდღიურად იზრდება. დისკურსის ყოველი ასპექტის ამომწურავად შესწავლას ცდილობს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგი, გამომდინარე იქიდან, რომ ზეპირი მეტყველება აისახება და გავლენას ახდენს სალიტერატურო ენაზე. ჩვენი მიზანია ზეპირი კომუნიკაციისა და დისკურსის სინტაქსური კონსტრუქციების კვლევა. მედია- და პოლიტიკურ დისკურსში ჩასახული კლიშე-წინადადების, რომელიც, თავის მხრივ, შესიტყვებას წარმოადგენს, შესწავლა სინტაქსის პერსპექტივიდან ლოგიკურია. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „მართებულია და მისაღები სინტაქსის საგნად შესიტყვების აღიარება და შესიტყვებაში, ფორმის გარდა, ფუნქციის ძიება. საკითხია, ფუნქციაც სინტაქსის საგნად გამოცხადდეს, მაგრამ უდავოა, რომ მხოლოდ ფორმის გათვალისწინებით მეტყველების სინამდვილე ვერ ამოიწურება“ (ჩიქობავა, 1968: 94).

დასკვნა. თანამედროვე ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასაუბრო ენაში კლიშეების გავრცელება-დამკვიდრების სიხშირე ზრდადია. სტანდარტულ, ტრაფარეტულ გამოთქმებს მოსაუბრეები აზრის სხარტად და ლაკონურად გადმოსაცემად მიმართავენ. კლიშედ დამკვიდრებული ფრაზების პოზიტიურ მხარედ მოვლენის ახსნისა და დამოკიდებულების გამოხატვის სიზუსტე ითვლება, თუმცა ა. არაბული მიიჩნევს, რომ კლიშეები მეტწილად მაინც იწვევს ცოცხალი ეროვნული ენის გაღარიბებას (არაბული 2008: 251). ამიტომ მათი გამოყენების მიმართ სიფრთხილე გვმართებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კლიშე საინტერესო ენობრივი მოვლენაა. მასობრივი საშუალებებისა და პოლიტიკის ენაში მისი დატვირთვა აზრის ოფიციალური, მშრალი ვერსიის სტრუქტურული ფორმირებაა და ის ამ ფუნქციას ნამდვილად ასრულებს.

თანამედროვე ქართულ მედია- და პოლიტიკურ დისკურსში კლიშეების ხშირი გამოყენება ზრდის ენობრივი კლიშეს სინტაქსის კონტექსტში კიდევ უფრო სრულყოფილად შესწავლის ინტერესსა და მიზანშეწონილობას.

გამოყენებული ლიტერატურა

- არაბული, ა. (2008). *ქართული მეტყველების კულტურა*. თბილისი: უნივერსალი.
- ენუქიძე, ლ. (1987). *ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში*. თბილისი: მეცნიერება.
- ზექალაშვილი, რ. (2012). *ქართული დიალოგიური მეტყველება*. თბილისი: უნივერსალი.
- თანდაშვილი, მ. (2020). *ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი (პოლიტიკური ტექსტების ქრესტომათია)*. ტ. I. თბილისი: ივერიონი.
- კვანტალიანი, ლ. (1990). *ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები*. თბილისი: მეცნიერება.
- სანიკიძე, თ., & სანიკიძე, ი. (2009). *ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა*. თბილისი: ინტელექტი.
- ჩიქობავა, ა. (1968). *მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში*. თბილისი: მეცნიერება.
- ჩიქობავა, ა. (2008). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

REFERENCES

- arabuli, a. (2008). *kartuli met'qvelebis k'ult'ura [The Culture of Georgian Speech]*. Tbilisi: Universali.
- enukidze, l. (1987). *dziritadi sint'aksuri teoriebi tanamedrove sazghvargaretul enatmetsnierebashi [Major Syntactic Theories in Contemporary Foreign Linguistics]*. Tbilisi: Metsniereba.
- zekalashvili, r. (2012). *kartuli dialoguri met'qveleba [Georgian Dialogic Speech]*. Tbilisi: Universali.
- tandashvili, m. (2020). *kartuli p'olit'ik'uri zep'irmet'qvelebis disk'ursi (p'olit'ik'uri t'ekst'ebis krest'omatia) [The Discourse of Georgian Political Oral Speech (Reader of Political Texts)]*. Vol. I. Tbilisi: Iverioni.
- k'vant'aliani, l. (1990). *kartuli zep'iri met'qvelebis sint'aksis sak'itkhebi [Issues in the Syntax of Georgian Oral Speech]*. Tbilisi: Metsniereba.
- sanik'idze, t., & sanik'idze, i. (2009). *kartuli enis p'rakt'ik'uli st'ilist'ik'a [Practical Stylistics of the Georgian Language]*. Tbilisi: Intelekti.
- chikobava, a. (1968). *mart'ivi ts'inadadebis p'roblema kartulshi [The Problem of the Simple Sentence in Georgian]*. Tbilisi: Metsniereba.
- chikobava, a. (2008). *enatmetsnierebis shesavali [Introduction to Linguistics]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.